მიხეილ კიკნაძის გამოცემა № 1

სპეკრთველოს ევა

და

ორი გლახა

ანუ

გაგრატოვანთ გვიგრგვინი

მესამე გამოცემა

ტფილისი
სტაბა წიგ. გამ. ქარ. ამხ. || Тип. груз. изд. Т—ва
1897

მიხეილ კიკნაძის გამოცემა № 1.

29315

სპასრთველოს ანბანი

ანუ

ორი გლახა

ანუ

ბაგრატოვანთ გვირგვინი

მესამე გამოცემა

აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

ტ-ფილისი
სტამბა წიგ. გამ. ქართ. ამხ. ||| Типогр. груз. изд. Т-ва
1897

Дозволено цензурою, Тифлисъ 25-го Апрѣля 1897 года.



ბაგრატიონთ გვირგვინი

(ლეგენდა)

I

აგრატიონთ გვარში ერთი ისეთი მეფე ყოფილა, რომლის ქებაც მთელს დუნიას სცოდნია და მთელი საქართველოც ამ მეფეს სჭერია, ეს მეფე, რომლის სახელს გარდმოცემა არ იხსენიებს, ისეთი თავმდაბალი კაცი ყოფილა და სულით მაღალი, ობლების და საწყლების გამკითხველი, რომ მის სახლის წინ, გლახაკი, ცხოვრებით დავრდომილი და გაჭირვებული მგზავრი ისე ვერ გაივლიდა თურმე, რომ მეფეს რაიმე ნუგეში და მოწყალება არ მიეცა, ღმერთმაც ამის მაგიერ მას ზეცით ცხებული გვირგვინი მოუვლინა. საქართველოს ერს მეფე მოუკვდა, ამ მეფეს შვილი არ დარჩა, ქარ-

თველებმა მეფედ ერთი კაცი დასვეს, ეს კაცი გვარად ბაგრატიონი ყოფილა. დიდათ სახელოვანი, მძლავრი, ლომ-გული და მტრის მოპირდაპირე, ამას გარდა ეს ყოფილა დიდი ღვთისნიერი, ყოველ დღე სახარებას, დავითნს და ლოცვანს კითხულობდა და თანაც ლოცულობდა,აგრეთვე დიდათ უყვარდა კათალიკოზთან საუბარი. ერთხელ სამეფო სახლში ყრილობა იყო, სამეფო საქმეზე უნდა მოელაპარაკნათ.

მოლაპარაკების შემდეგ მეფემ მიმართა ერს:

— მღვთის განგებით მე მელირსა საქართველოს სამეფო ტახტი, რასაც ღირსი არ ვიყავ, მაგრამ ჩემი ერთი უბედურება ის არის, რომ მე ჩემი მომავალი იმედი, ვაჟი-შვილი არა მყავს, ვაი თუ უძეოთ დავრჩე, ასე გადავეგო და ბოლოს ხომ საჭოჭმანოთ გახდება საქართველოს სამეფო ტხტის საქმე. ამიტომ მე ვითხოვ დიდებულნო, რომ ნება მომცეთ თქვენ, ჩემის სიკვდილის შემდეგ ჩემი ქალი დაჯდეს მეფეთ და თუ ამას არ ისურვებთ, მაშინ ნება მომეცით, რომ მე ვისიმე შვილი ავიყვანო, ვიშვილო და მის მეოხებით დავიფარო ტახტის საქმე უვნებ-

ლად. მეფის სიტყვის დასრულების შემდეგ კათალიკოზი წამოდგა და მოახსენა:

— მღვთით, ელირსა საქართველოს რიგიანი მეფე და გამგებელი, რიგიანი მამა და პატრონი, ამიტომ ჩვენ ვერას ვიტყვით თქვენ წინააღმდეგ და თქვენს სიტყვაში საწინააღმდეგოც არაფერია, როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით, მაგრამ შოგახსენებთ, რომ რა საჭიროა სხვის შვილის აყვანა, როცა ღმერთს თქვენთვის ასული მოუცია, რომლის ხელვა მთელს ქვეყანას აკვირვებს, მისი სიმხნე და ძლიერება ყველამ კარგათ იცის, ასეთი ასული, მეფეო, ღირსია ტახტისა, ღირსია მეფობისა, ღირსია საქართველოის დედობისა, მას მიეცით, მას დაულოცეთ თქვენი გვირგვინი და იგი დაამტკიცეთ მომავალ მეფეთ.

კათოლიკოზის შემდეგ მიუგეს სხვათა დიდებულთა.

ერთმა მოახსენა:

— დიდებულო მეფეო! თუმცა ქალია, მაგრამ დაგარწმუნებთ, რომ მისი გონება და ზომვა მთელ საქართველოს აკვირვებს, ჩვენს თავალს მაგ გვარი არავინ უნახავს. ეგ ღირსია მეფობი-

სა, ეგ მტკიცეთ დაიცავს ყოველს ზნესა და ჩვეულებათა ჩვენთა მამათა და პაპათა.

მეორემ მოახსენა:

— სამწუხარო რა გაქვთ, დალოცვილო, ჯერ ხომ არ დაბერებულხართ, თმაში თეთრი არ გამოგრეევიათ, იქნება ვაჟიც მოგცეთ ღმერთმა, ვინ იცის, რათ ბრძანებთ მაგას, რომ მე დროს გადაველიო, ღმერთმა ძე არ მომცაო და ჩემის ქალის მეფეთ დასმის ნება მომეცითო. ჯერ სამაგისო არა გიჭირთ-რა და როცა იქამდე მივა საქმე, შაშინ მეტი რა გზა არის დასვით თქვენი ასული მეფეთ, ვისზე რა ნაკლებია. მე ჭეშმარიტს მოგახსენებთ.

— თქვენ რაღას ბრძანებთ მღვდელ-მთავარო! — იკითხა ერთმა მათგანმა. მღვდელ-მთავარმა სრული თანხმობა განაცხადა.

— სწორედ კარგს ბრძანებთ ყველანი. სხვის შვილის აყვანა რა საჭიროა, როცა ღმერთს თქვენთვის მოუცია საკუთარი შვილი, ვაჟი თუ არ არის. ქალი ხომ მაინცაა. ქალიც ღვთის გაჩენილია. ღვთის წინაშე ვაჟი და ქალი სულ ერთია. საქართველო რიგიან მოღვაწე-დედათა მოვლენას უცხო ხომ არ არის.

— კეთილი! — ბრძანა მეფემ.

— წელანაც მოგახსენეთ და ეხლაც გაგიმეორებთ მეფეო, რომ ჯერ თქვენს სიბერეს არა ხართ მისული და ამიტომ შეიძლება, რომ თქვენ სიკვდილამდე ღმერთმა ვაჟი შვილიც მოგცეთ.—სთქვა ერთმა.

— ეგეც შესაძლებელია, ჩვენ კიდევ ლოცვას არ მოგაკლებთ მაგისთვის ეკლესიებში. მე გავცემ ბრძანებას, რომ დღეის შემდეგ ყოველს ეკლესიაში თქვენთვის ილოცონ, რომ ღმერთმა შეისმინოს და ერთი ვაჟი შვილი მოგცესთ.—ბრძანა მღვდელ-მთავარმა.

მეფე დაიმედდა, გულში გაიფიქრა, რომ იქნება მართლა მელირსოს ვაჟი შვილიო. ყველას მადლობა გადაუხადა და კრება დაიშალა. ამ საღამოს ყოველი ფერი დაწვრილებით შეფემ დედოფალს უამბო. დედოფალსაც, რასაკვირველია, ერის რჩევა ძალიან მოეწონა და ორნაირად უხაროდა, ერთი რომ მღვდელ-მთავარმა დააიმედა ისინი, რომ სამღვდელოება იმათთვის ილოცავს და ღმერთი შეისმენს იმათ ვედრებას და იქნება მისცეს მათ ვაჟი, როგორც უწინ ბევრისთვის ბევრის ვედრების შემდეგ, ღმერთს

სიბერის დროსაც მიუცია იმედი, და თუ ეს არ იქნება, მაშინ მათი ასული ტახტზე დაჯდება. ეს სასიხარულო ამბავი მალე მათმა ასულმაც შეიტყო. ამ ამბის მეოხებით იგი საკმარისად დადარდიანდა და არ იცოდა რა ექნა, დღე და ღამ მგლოვიარედ იყო, უმეტეს შავს ტანთსაცმელს იცვამდა, კითხულობდა საღმრთო წიგნებს, ნამეტურ წმიდა ნინოს ცხოვრებასა. დღე და ღამე სულ საღმრთო საქმეებზე ფიქრობდა. ამას სამაგალითოდ ჰქონდა გამხდარი წმიდა ნინოს ცხოვრება და წმიდათ მოღვაწეობა. ამ ქალის ამ გვარი საქციელისაგან დედ-მამაც ძრიელ გაკვირვებულნი იყვნენ და არ იცოდნენ რა ექმნათ. მიზეზი ამისი კი იმაში იფარებოდა, რომ იგი იყო საკმარისად ლამაზი და ჰაეროვანი. მას ჰყვარებოდა ერთი მეტად მშვენიერი გლეხის ვაჟი, რომელთანაც ბევრი სიამოვნებაც მიეღო და ენახა. ამ ვაჟს მეფე-დედოფალნიც იცნობდნენ, მაგრამ ის კი არ იცოდნენ, თუ იმათ ქალს და იმ ვაჟს ერთმანეთი უყვარდათ. თუმცა ესენი ყოველ დღეს ერთად იყვნე და ერთად ატარებდნენ დროს, მაგრამ ისე, რომ მშობლებს ეჭვი არ აუღიათ- როცა ამ ქალის

მამას საქართველოს ერმა მეფობა მისცა, მაშინ ამ მშვენიერს ვაჟს იმედი დაეკარგა, რომ ახლა კი მე იმ ქალს აღარ მომცემენო, ამის გამო ელდა ეცა და გარდაიცვალა, ეს ამბავი ქალმა რომ შეიტყო კინალამ ჭკუაზედ შეიცვალა, მაგრამ თავი შეიმაგრა და შემდეგ საფლავზედ ფიცი მისცა: რომ თუ მე შენ გიმტყუნო და სხვაზე გავთხოვდე, მაშინ მე შეჩვენებული ვიყოვო, ან თუ სოფლის დიდება ვინდომო, ასევე მოვიდესო, მე განვალ სოფლით, შევდგები მონოზნათ და სიწმინდით განვატარებ ჩემს სიცოცხლეს და ჩვენის სურვილისათვის ვილოცამ ყოველთვისაო. აი ეს იყო ამ ქალის საიდუმლოება და ეს მალე დედ-მამასაც უპირებდა თავის აზრის გამჟღავნებას. მაგრამ ძალიან ერიდებოდა მშობლებისა, რადგანაც მათ ერთი ქალის მეტი არავინ ჰყავდათ და გარდა ამისა უკანასკნელ უცებ ბედნიერებითაც შეიმოსნენ, რომ გუშინდელი უბრალო კაცი დღეს დიდებულ მეფეთ გადაიქცა. მაგრამ ფიცის გატეხა არა გზით არ ინდომა. რაც ხანი გადიოდა, მით ფიცი უფრო უძლიერდებოდა. უკანასკნელ ქალმა რაკი შეიტყო, რომ მამიჩემის გამე-

ფებას ჩემი გათხოვებაც მოჰყვებაო, თავის მშობლებს კრძალვით მოახსენა:

— ჩემო მშობლებო! მე დიდად მიხარიან თქვენი ყოველი ბედნიერება და ჩემი მომავალი ცხოვრების და დიდების საქმეც, მაგრამ მოგახსენებთ, რომ მე ეგენი არ შემიძლიან, მაგის ვალს ვერ ვიტვირთებ, ვერ მივიღებ.

— რატომ შვილო, რა მიზეზია? — ჰკითხა მეფემ.

— მე, მამაო, მეფევ, მონოზნათ მინდა შევსდგე, მე ღვთის გზაზე ვარ დამსდგარი, მე ღვთისადმი ფიცი მაქვს მიცემული იმ დროს, როცა თქვენ ისევ უბრალო კაცათ იყავით, მე ჩემს ფიცს ვერ გავტეხავ, სააქაოს ცხოვრებას საიქიო ნეტარი ცხოვრებას ვერ შევწირავ, ეს გადასწყვიტა ჩემმა გულმა და ამის წინააღმდეგ წასვლა არ შემიძლიან. ეს თვით თქვენთვის ცოდვა იქმნება. ნუ თუ თქვენ ვერ მატყობდით აქამდის, რომ მე ყველაფერთან მორიდებული ვიყავ და ყველაფერს ვერიდებოდი. — მიუგო ქალმა.

მეფე-დედოფალნი დიდის ნაღვლით და მწუხარებით ისმენდნენ ქალის მოხსენებას და

როგორც დიდათ ღვთის მოსავნი ვერაფერს ეუბნებოდნენ.

— კარგიო! წინააღმდეგს ვერას გეტყვით, მაგრამ ჯერ მღვდელ-მთავარს ვკითხოთ და თუ ის ნებას მოგცემს, მაშინ ასრულდეს შენი სიტყვაო. — მიუგეს მშობლებმა.

მეორე დღეს სამეფო დარბაზში კრება იყო დანიშნული, სადაც დაესწრნენ მთელი სამეფოს წარმომადგენელნი და მღვდელ-მთავარიც. ამათ წინაშე წარდგა ქალი და გულ-მდუღარებით მოახსენა თავის გულის წმინდა ნატვრა და, მოხსენების შემდეგ მღვდელ-მთავარს მიმართა:

— თქვენ მოგმართავთ მღვდელ-მთავარო, თქვენ მაცხოვრის მოადგილევ, რომ ამის პასუხი მომცეთ. თქვენგან ველი ამის პასუხს.

— რაკი აგრეა შვილო, მღვთის წინააღმდეგს არავინ გეტყვის, და მით უკეთეს მე, მღვდელ-მთავარი. მაგრამ ამასაც კი გეტყვი შვილო, რომ მღვთისადმი ლოცვა აქაც შეიძლება, რომ იქმნეს მიმართული.

— არა მღვდელ-მთავარო, მაგას ნუ ბრძანებთ. ოღონდ მაგას თქვენგან ნუ გავიგონებ

და სხვა რაც უნდა იქმნეს, მოხდეს. — მიუგო ქალმა. ბევრი საუბრის შემდეგ კრება დაიშალა. მეორე დღეს ქალს მიეცა ნება მოლოცნათ შედგომისა. ამის დედ-მამა მწუხარებით აღივსნენ, მაგრამ ქალი თავისას არ იშლიდა. თავის წადილი აღასრულა, შეიმოსა შავის სამოლოცნო ტანთსაცმელით. მღვდელ - მთავრის კურთხევა მიიღო, წავიდა დედათ მონასტერში და იქ დასახლდა. თავის ფიცი აღასრულა. მეფე-დედოფალი დიდად სწუხდნენ, მაგრამ მღვდელ-მთავარი მუდამ აშოშმინებდა და აიმედებდა, რომ ნურას იტყვით. თორემ ღმერთს შესცოდებთ, ღმერთი სხვა-გზას, სხვა ნუგეშს მოგცემს, იქნება ვაჟი-შვილი მოგცესთო.

— თუ ღმერთი არ შეისმენს ჩვენს ვედრებასა და მოწყალებას არ იზამს, მაშინ როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით. სხვის შვილი აიყვანეთ ვინმე და გაზარდეთ. — ეუბნებოდა მღვდელ-მთავარი.

— ეგლაა ჩემს იმედათ. — მიუგო მეფემ.

— ღმერთი არ დაგკარგავთ, — მიუგო მღვდელ-მთავარმა.

— ოღონდაც, ჩემო მღვდელ-მთავარო, მა-

გრამ ჩემი ერთი ნაღველი ის არის, რომ ჩემი ქალის სახე ყოველთვის თვალ წინ მაქვს და არ მშორდება.

— ჭეშმარიტი ბრძანება არის, მაგრამ თქვენი ქალი დღეს ქრისტეს პატარძლათ ზის და მიტომ თქვენ მწუხარება აღარ გმართებთ. — მიუგო მღვდელ-მთავარმა.

— სწორედ ეგ მაძლებინებს, ჩემო მღვდელ-მთავარო და ეგ მასულდგმულებს. მაგრამ მწუხარება კი ძნელი რამ არის.—ბრძანა მეფემ.

— თქვენ ხშირად ილოცეთ, ხშირად ეკკლესიაში იარეთ, ლოცვებს შემდეგ სანადიროთ წაბრძანდით ხოლმე და ნადირობაში დროს გაართობთ, მოგზაურობა ყოველთვის გადაგყრით გულიდამ მწუხარებას.—ასე არიგებდა მღვდელ-მთავარი. მღვდელ-მთავრის დარიგების თანახმად დაიწყო მეფემ მუდმივ ლოცვები, ეკკლესიებში სიარული და მოცლილობის დროს ნადირობა. ასე და ამ გვარად მიდიოდნენ დრონი და მეფე ლოცვით და ნადირობით ატარებდა დროს და დედოფალი კიდევ შინ მყოფთ ბანოვანთ საუბრით. ერთს დღეს მეფემ ისურვა სანადირდ წასვლა. დანიშნულს დროს თანამხლებლებით და

მრავლის მონადირეებით წაბრძანდნენ სანადიროდ.

შევიდნენ ერთს უდაბურს ჭალაში და დაიწყეს ნადირობა, ერთი მონადირე ერთს ალაგას წააწყდა ერთს საკვირველს სანახავს, ბუჩქის ძირას ირემი იდგა და ბავშვს ძუძუს აწოვებდა. მონადირე გაჭკვირდა ამაზედ და თან შეკრთა კიდეც, გაოცებულმა მონადირემ ყვირილ შექმნა. ყვირილი მეფემ და სხვათა მალე გაიგონეს და მივიდნენ იქ, სადაც მონადირე იდგა და ნახეს ამათ მეტად უცხო სანახაობა. მეფემ მაშინათვე ბავშვი აიყვანა და გაშინჯა, იგი იყო ვაჟი შვილი და მეტად მშვენიერი, ისეთი, რომ სახე მთვარეს უგვანდა და ტანი ალვის ხესა. მეფემ მაშინათვე გულზე მიიკრა და სთქვა:

— ღმერთო, რაკი მე ძე არ მომეცი და დღეს ეს საკვირველება ვნახე, ამას ვიშვილებ მე და ისე გავზრდი, როგორც ჩემს საყვარელს ძესო.

— სწორედ კაი იქნება! — შესძახეს, თან-მხლებლებმა.

მეფემ და ხალხმა ნადირობას თავი გაანებეს, ყველანი სიხარულით აღივსნენ. წამოსვლა დააპირეს. ამ ბავშვის მაწოვარი ირემიც იქ იდგა

ფეხ-უცვლელად, და შესცქეროდა ბავშვს და ხალხს.

მეფე და ხალხი ამან უფრო გააკვირა და ამიტომ ბრძანა მეფემ.

— დაიჭირეთ ეგ ირემიც, ყელზე თოკი შეაბით და უვნებელათ წამოიყვანეთ შინა. ნაზირ-ვეზირთა აღასრულეს მეფის ბრძანება, ირემი დაიჭირეს და უვნებლივ წაჰგვარეს შინ. ესენი მალე მივიდნენ შინა და დედოფალს ახარეს, დედოფალი და სხვანი დიდის სიხარულით აღივსნენ, მალე ძეობა გადიხადეს, რამდენჯერმე კიდევ ირემმა აწოვა ძუძუ. საკვირველებით უმზერდნენ, იქმნება ეს ბავშვი ირემმა შობაო.

— სწორედ ირემს უშობნია, ირემსა! ამბობდნენ მრავალნი.

— ეს ყოვლათ შეუძლებელია, ეს სხვა ვიღაცას დატოვებულია უპატრონოთ და ღმერთს ეს ირემი აღმოუჩენია პატრონათა, ამბობდნენ ზოგნი.

— სწორეთ ასე უნდა იყოს, ბრძანა მეფემ. ბავშვს დაუწყეს ზრდა. იგი თვალ და თვალ იზრდებოდა. მშვენიერი რამ იყო, კაცს შეშურდებოდა მის თვალის მოშორება, ყველა სიხარულს

მიეცა და მეფე და დედოფალი ხომ აღრ დარ-
დობდნენ. შინაურმა მელექსემ ამაზე გამოთქვა
შემდეგი ლექსი:

„ბაგრატიონთ გვარის კაცსა,
ირმის ძუძუ უწოვნია,
ჭალაში დატოვებული,
მონადირეს უპოვნია.“

მეფემ იმ დღიდგან აღთქმა დასდვა, რომ
ბაგრატიონთ გვარის კაცმა ირმის ხორცი არა
სჭამონო და ძველათ თურმე ბაგრატიონები არცა
სჭამდნენ ირმის ხორცსა, რადგანაც მათში ამბათ
იყო დაშთენილი, რომ ჩვენ წინა პართ, ირმის
რძე უწოვნიათო.

ის ირემიც შეინახეს იმ დრომდის, ვიდ-
რემდის თავის ნებით არ მოკვდა, მაშინ დაასაფ-
ლავეს ერთს ალაგას და მის საფლავს არ შეე-
ხნენ.

— პირუტყვი იყო, მაგრამ კაცზე მეტი გო-
ნება ჰქონდა, ამბობდნენ შინაურნი.

— კიდეც იმიტომ არის ისეთი პატიოსანი
და შესაბრალი, ამბობდნენ მეორენი.

ვაჟი შვილი გაიზარდა, თავის დროზედ წე-
რა-კითხვის შესწავლაც დააწყებინეს, მერე კათო-
ლიკოზის სასახლეში გარდიყვანეს. იქ მას მიუ-

ჩინეს ერთი ქართველი ფილოსოფოსი, მღვთის მეტყველი; ეს ფილოსოფოსი მღვთის მეტყველი უბრალო კაცის შვილი იყო. ეს დიდათ მეცადინეობდა ამ ბავშვის გაწურთვნაზე. მან ბევრი რამ ჩაასმინა ამ ბავშვს და ბევრი რამ შეაყვარა პატარაობისას. ფილოსოფოსი ხშირად ეუბნებოდა ხოლმე ბავშვს:

— შენ მართალია მეფის შვილი ხარ დიდი შეძლების მქონე, მაგრამ ნუ დაივიწყებ იმას, რომ ჩვენს სამეფოში არიან ბევრნი, რომელნიც არამც თუ დიდებას, არამედ ლუკმა პურს არიან დანატრულებულნი: ვინც იმათ მიჰხედავს და უპატრონებს, ვინც ღარიბსა და დაჩაგრულს შემწეობას გაუწევს, იმას ღმერთი აამაღლებს და დააწინაურებსო.

ბავშვიც მეტის-მეტი ზრდილობიანი შეიქმნა, ღარიბთ მოყვარე, დავრდომილთა, მოხუცებულთა, ტანჯულთა, კუტთა, ბრმათა, ქვრივთა და ობერთა შემბრალე. ბავშვის ასეთი მოწყალეს საქციელისაგან გაკვირვებულნი იყვნენ, მის მზეს ფიცულობდნენ. მისი სახელი ყველამ იცოდა. ყველას უყვარდა ეს საგანგებო ბავშვი, ნამეტურ პატივსა სცემდა მეფის ასუ-

ლი, ხშირათ მიჰყავდა ხოლმე ამ მოლოზანს ეს ბავშვი და თავისთან იტოვებდა. იქ ასწავლიდა მას სხვა და სხვა მამათ ცხოვრებას, ნამეტურ სახარებას, ასმენდა საწყლების შებრალებას და სხვანი. მეფე დედოფალზედ უფრო ამ ქალს უყვარდა ეს ვაჟი, ამის გამო კინაღამ მოლოზნობას თავი გაანება, მაგრამ ქვეყნისა სცხვენოდა და ვერ ბედავდა. თავი შეიკავა, არ გავიდა დიდი ხანი, რომ ეს ქილი ავათ გახდა და მალეც მიიცვალა. დასაფლავება დიდის ამბით იქმნა და დასაფლავების შემდეგ, მოლოზნის სენაკში, საწიგნობელში, წიგნებს შუა იპოვეს ერთი წერილი, სადაც ჯერეთ, დიდი ბოდიშის მოხდა ეწერა, მერე მუხლს დადგმით და ცრემლის ღვრით დიდი მუდარება, აუარებელი გოდება, დიდი გულის კვნესა, პატიობა, შენდობა და იმედი, რომ მე არ ვიქმნე გაკიცხულიო.

წერილი თავდებოდა ასე: „მამა-ჩემო, ბავშვი, რომ იპოვეთ და გაზარდეთ, ჩემი ნაშობია, ჩემი ნამდვილი. მაგრამ მე ვერ გავამხილე, მე სხვათა დახმარებით ეგ, ერთს ალაგას ტყეში გადავაგდეთ. ეგ გამიჩნდა მე ამა და ამ ახალგაზდა ვაჟისაგან, რომელიც მამიჩემის ამაღლებამ დას-

ცა და უდროვოთ გარდაიცვალაო. ვითხოვ შენ-
დობას ყოვლისაგან, რომლის სირცხვილმაც წუთი
სოფელს გამომასალმა. ვმადლობ ღმერთს, რომ
ასე მალე გამოვესალმე ჩემს დანაშაულს. ჩემს
შეცდომას, იმედი მაქვს, რომ ჩემს ცოდვილს
სულს შეიბრალებთ და ყველაფერს მაპატიებთ,
დიდის მოწიწებით ვევედრები ჩემს შვილს, ჩემს
შებრალებას, ჩემს პატიობას. თუმცა მე ეგ არ
შევიბრალე და უპატრონოდ ტყეში დავაგდე.
მე ვკდები სწორეთ მტირალი, დიდი დამნაშავე,
სწორედ ბედის მომჩივანი... ვითხოვ შენდობას...
შებრალებას, პატიობას... ვაი ჩემს ქალობას, ვაი
ჩემს თავს.

ჩემს ცოდვებს უდაბნოში გავექეცი და იქ
მინდოდა მომენანიებინა, რომ მე გავბედე
ჩემის შვილის გადაგდება. მაგრამ აქ უფრო მამ-
ხილებდა ჩემი სინიდისი და იქ უფრო ვგრძნობ-
დი ჩემს დანაშაულს. ღმერთმა ხომ იცის, რომ
მე ჩემის ნებით არ ჩამიდენია ეგ საქციელი,
არამედ სხვათა შიშითა და სხვათა მორიდებით,
რომელნიც მე საქვეყნოდ შემარცხვენდნენ და
ჩამქოლავდნენ. მაპატიე ჩემო საყვარელო შვილო,
მე ამის თქმის უფლება არა მაქვს, რომ შენ საყვა-

რელი გიწოდო, ეს ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ ტყეში არ გადაგაგდებდი, მაგრამ რა ვქნა, შევცდი, საიდუმლოდ უნდა გამეზარდე და ეგ კი არ უნდა მექნა, შევცდი, დამნაშავე ვარ შენს წინაშე და იმედია მაპატიებ. შეიბრალებ შენს საბრალო დედას". ამ წერილის წაკითხვამ და საქმის შეტყობამ, მეფე დედოფალნი და სხვანი დიდის მწუხარებით აღავსო, მაგრამ რაღას იზამდ-ნენ. ყველამ შენდობა შეუთვალა. ყველას ებ-რალებოდა საბრალოთ მიცვალებული მოლოზა-ნი, მღვდელ-მთავარმა სხვათა სამღვდელოთ დახ-მარებით წესი გადუხადა ახლად მიცვლილს ქალ-სა და ყველას შენდობა დაავალეს — აპატიეთ განსვენებულსა, რათა გაპატიოთ თქვენცაო, ამ-ბობდა მღვდელ-მთავარი.

— შეუნდე შვილო, მშობელსა შენსა თა-ვის დანაშაული, რათა აგამაღლოს ღმერთმან და დაგიფაროს. უთხრა შვილს.



II

ამაწვილი გაიზარდა, მეტად შესანიშნავი შეიქმნა, სიბრძნის მოყვარე, საწყლის შემბრალებელი და სამეფო საქმის კარგად მართველი. მშობლების გარდაცვალების შემდეგ იგი გამეფდა. თავის მეფობის დროს უფრო გაუკეთესდა და თავის საქციელით, ღვთისადმი ლოცვა ვედრებით, საწყლების შებრალებით, ქვრივ-ოხრების და სხვანი. ღამით თურმე, გლახის ტანთსაცმელს ჩაიცვამდა, წავიდოდა საწყალ ხალხის სახლში და თავის ხელით ურიგებდა სარჩო საბადებელს.

ნამეტურ ჰპატრონობდა ნაბიჭვრებსა და მეტად ღარიბებსა, სიკვდილით დასჯა ამის საშეფოში არ იყო, ყველას მაცხოვრის „სახარების“ თანახმად ეპყრობოდა, პატიება, სიყვარული და ძმობა. ყველას უკვირდათ ამის ასეთი გულკეთილობა, მთელ საქართველოს ერში ამის ცნობებიც მოიფინა, რომ ჩვენი მეფე ასეთი კა-

ცი არისო. ვინც კი მივა მათხოვარი, ყველას შემწეობას აძლევს და ყოველ ცისმარე დღეს თავის ფანჯარაში გამვლელ ხალხს ათვალიერებს და საწყლებს ყურადღებას აპყრობს.

ერთხელ: დიდ მარხვის აღების ღამის კვირა დღეს, მეფე სანათურთან იდგა და ხალხის მოძრაობას ადევნებდა თვალს, ამ დროს, მეფის სახლის წინ, ქუჩაში, ჩაიარა ერთმა საწყალმა კაცმა, რომელსაც თავის სახლის კარები ზურგზე ეკიდა და თან ჰყვიროდა:

— კარები ვის უნდა გასაყიდი, კარები! მეფემ ყვირილის ხმა გაიგო და მიტომ საჩქაროთ გაგზავნა ნაზირ-ვეზირი და ის კაცი თავის წინაშე მოაყვანინა. კარის გამსყიდველი შევიდა მეფის სახლში, მას ცოტა შეეშინდა, მაგრამ გული შეიმაგრა და მეფეს ბატონყმური სალამი მისცა, მუხლი მოიდრიკა, გულზე ხელები დაიწყო და ფეხზე სამთხვევლათ გაემართა, როგორც ჩვეულება იყო.

— ისეთი რა გაჭირება გაქვს, რომ ეგ კარები წამოგიღია და ჰყიდი?—ჰკითხა მეფემ.

— რა ვქნა შენი ჭირიმე, ღატაკი კაცი ვარ, მოვალეების მეოხებით ბოგანოდ ქცეული,

სულს იქით მე აღარა მაქვს-რა, რაც რომ მქონ-
და სახლში სულ მოვალეებმა და სხვებმა წა-
იღეს.

— ცოლ-შვილი გყავს?--ჰკითხა მეფემ საჩ-
ქაროდ.

— დიაღ შენი ჭირიმე, მყავს ცოლ-შვილი,
მაგრამ სულ ღატაკნი, ცოლიც და შვილებიც
სულ ტიტველ-შიშველნი, არაფრის ძალა და
სახსარი მე არა მაქვს,—მიუგო მეფეს.

— მაგ კარებს რალაზე ჰყიდი?—ჰკითხა მე-
ფემ,

— ამას შენი ჭირიმე იმისთვის ვყიდი, რომ
სახლში აღარაფერი გამაჩნია. დღეს აღების ღამე
დგება, ყველას ლხინი და სადილები აქვთ გა-
მართული და მე კი შინ ცოლ-შვილნი მიშივიან.
ჩემი სახლის კარები ამოვიღე, სხვა რომ აღარა-
ფერი გამჩნდა და წამოვიღე, რომ ეგები გავყი-
დო, ამის ფულით ხორცი ვიყიდო და დღეს აღე-
ბის ღამე მაინც გარდვიხადო, ვინ იცის ბატო-
ნო მეფევ. ამ შვიდ კვირას გადავრჩებით თუ
არა? მიუგო გლეხმა.

— ბიჭებო! წაიყვანეთ ეს კაცი და მიე-
ცით ყველაფერ, გარდა ამისა შენ ყოველ შა-

ბათობით მოდი და საჩუქრებს მიიღებ, ვიდრე ფეხზე დადგები და ზურგს გაიმაგრებ, ეგ კარები კი თან წაიღე და შენ სახლს ჩამოჰკიდე ისევ.

— გმადლობ მოწყალებისათვის.

— აბა, მაშ წადი, უბძანა მეფემ.

გლეხი გავიდა, საჩუქრები მიიღო და სახლისაკენ წავიდა. ეს ამბები ზოგიერთმა საწყალ მეზობლებმა რომ გაიგეს, მათ ძლიერ ეწყინათ და არ იცოდნენ შურით რა ექნათ. ესრეთი მოწყალება რატომ ჩვენ არ მივიღეთო. როგორც იქმნა გაიარა დიდ მარხვამა, გათენდა აღდგომის დღე, ყველა გახარებული არის, ვისაც კი შეძლება აქვს. მხოლოდ ერთ ალაგას სცხოვრებს ერთი მეტად საწყალი ღარიბი ოჯახი, დიდი მღვთის მოყვარე. ამ ოჯახის მცხოვრებლებმა, მთელი დიდი მარხვა ისე გაატარეს, რომ მაძღრისად პური არ უჭამიათ. აღდგომა მოახლოვდა, როგორც იქმნა, მაგრამ ვაი იმ მოსწრებას, აღდგომის დღეს ერთი წითელი კვერცხი არ ჰქონდათ და პურის და ხორცის კითხვა ხომ არ შეიძლებოდა. შიმშილისაგან დაოსებულმა ცოლმა უთხრა ქმარს.

— კაცო, ადე, რამე იშოვე, ბალღები მა-

ინც არ გეცოდებიან, რომ შიმშილით იხოცებიან, გარდა ამისა დღეს აღდგომა დღეა და პირიც არ გავიხსნილოთ, შვიდი კვირა დღე და ღამე მარხვა შევინახეთ და ეს რა ამბავია ჩვენს თავზე.

— რა წავიღო დედა-კაცო, ჯამი ჩვენ არა გვაქვს, კოვზი, ხალიჩა, ვერცხლი, სპილენძი და თითბერი. აბა რა წავიღო, ნეტა ტანზე გვეცვას რაიმე, გავიხდი და იმას წავიღებ გასაყიდათ.

— აი სახლის კარები ჩამოიღე და ის წაიღე გასასყიდათ. ხომ გახსოვს ამა და ამ კაცმა რომ წაიღო და მეფემ იყიდა, იქნება ღმერთმა ქმნას და შენგანაც ინებოს ყიდვა. ეცადე, რომ მეფის სახლის წინ ჩაატარო, მანამ მეფემ არა გნახოს არ მოშორდე სახლის კარებს.

— სწორედ კაი მითხარ დედაკაცო, სწორედ კაი! საჩქაროდ მივარდა კარებს, ამოიღო, წამოიკიდა ზურგზედ და გაარბენინა მეფის კარის წინ, მეფე ამ დროს სანათურთან იდგა და ხალხს ავლებდა თვალს, აგერ დაიწყო ყვირილი:

— კარები ვის უნდა გასაყიდი, კარები? ეს ხმა მეფემ გაიგონა. მაშინვე კაცები გაგზავ-

ნა და ის კაცი ისე კარებ ზურგზე მოკიდებული მიაყვანინა. შესვლისთანავე ჰკითხა:

— დღევანდელ დღეს ისე როგორ გაგიჭირდა, რომ სახლის კარები წამოგიღია გასასაყიდათ და ჰყიდი?—ჰკითხა მეფემ.

— რავქნა შენი ჭირიმე ბატონო მეფევ, მეტად ღარიბი გახლავარ, საწყალი, წვრილ-შვილის პატრონი, არა გამაჩნია-რა. ნახევარზე მშივრები გახლავართ. მთელი შვიდი კვირა მარხვა შევინახეთ, დღეს გახსნილდა და ერთი კვერცხი არა გვაქვს, რომ პირი გავიხსნილოთ, ავდექ, ჩემი ცოლის რჩევით, მე ეს სახლის კარები ამოვიღე და წამოვიღე გასაყიდათ, ეგები გავყიდო და რამე ვიყიდო და შინ წავიღო, რომ პირი გავიხსნილოთ.

— აი შე უკეთურო შენა, სირცხვილი არ არი, გახსნილდა, ხომ არ დამარხვდა, დღეს არ გაქვს, შეიძლება ხვალ მოგცეს ღმერთმა. მაგას რას შვრები, სახლის კარების გაყიდვა ვის გაუგონია,—ბრძანა მეფემ.

— მართალს ბრძანებ მეფეო, მაგრამ ჩვენ არც დღეს გვაქვს რამე და არც ხვალ გაგვიჩნდება, ეს ჩვენ კარგათ ვიცით. ჩვენ სიღატაკის

შვილებათ დავბადებულვართ და სიღატაკეშივე დავიხოცებით, — მიუგო მოწიწებით.

— ნაზირ-ვეზირნო! წაიყვანეთ ეს კაცი და ერთი კვირის საგძალი მიეცით და გარდა ამისა, ყოველ შაბათობით თითო ჩანახი პური მიეცეს, ბრძანა მეფემ. ნაზირ-ვეზირებმა წაიყვანეს ღატაკი და ყველაფერი აუწყეს და მისცეს, ამის შემდეგ ეს ყოველ კვირა იღებდა დახმარებას. რაისა გამო დიდათ ლოცავდა მეფეს.





ბაქართველოს მეფეებმა სამეფო მეჯლიში კვირაში ერთხელ იკოდნენ. ზამთარში სამეფო სახლში იკოდნენ გამართვა და ზაფხულში სადმე შესანიშნავ ბაღებში. ერთს მშვენიერს ზაფხულის დღეს, ერთს ბაღში გამართული იყო მეჯლიში, სადაც დიდძალი ხალხი იყო შეყრილი, აქვე იყო მღვდელ-მთავარი და სხვანი. დიდი ლხინი, დიდი პუროობა, დიდი სიხარული და დი აღსავსება. ღვინო ისმოდა როგორც წყალი, ხორაგი აუარებელი, ყველა შეზარხოშებულ-შექეიფიანებულნი იყვნენ. მეფე ერთს მაღლობს ადგილას იჯდა და მოქეიფე ხალხს თვალ-ყურს ადევნებდა. ამ დროს ბაღის ბოლოს ერთმა მოხუცებულმა კაცმა გაიარა, მეტად დავრდომილმა, ამან სამეფო პირების ლხინი ნახა, და საკრავების ხმა გაიგონა, ისურვა შორიდან მზერა. ამ ღატაკ მოხუცს მეფემ მალე მოჰკრა თვალი და ისურვა თავისთან მიხმობა — ნაზირ-ვეზირ-

ნო! წადით და აგერ ის მოხუცი მათხოვარი მომიყვანეთ. ესენი მაშინვე წავიდნენ და მოხუცი მათხოვარი მეფის წინ მიიყვანეს. ხალხი შეჩერდა და დაუწყეს მეფეს მზერა. მეფემ აიღო აზარფეშა, თავის ხელით დაასხა წითელი ღვინო და მისცა გლახას დასალევათ. გლახას ჯერ შეეშინდა, ბოლოს დალოცა მეფე და გაბედა ღვინის დალევა. მეფემ აზარფეშა ჩამოართო, მეორეთ დაასხა ღვინო და თვითონ უნდა დაელია. ამ დროს მოხუცი მას ლოცავდა თავის კვრით და უცაბედათ ამ გლახას მატლი აზარფეშაში ჩავარდა, მეფემ ნახა ეს საქმე, მაგრამ გულს არ შეეზიზღა, აიღო ხელში, ახსენა ღმერთი და დაიწყო სმა.

ამ დროს ზეციდგან ორი ანგელოზი წამოვიდა, რომელთაც ჩამოიტანეს გვირგვინი და მეფეს თავზე დაადგეს, სწორეთ იმ დროს როდესაც მან ღვიინს სმა გააჩავა და თავი მაღლა აიწია, ამ ამბისაგან დიდი სიხარული, დიდი სიამოვნება შეიმქნა, ლოცვა-ლიტურგიები და პარაკლისების ხდა. ლხინი დაიშალა: მეფემ საწყლებისთვის გასცა დიდი დახმარება. ბრმები, კუტები, მოხუცებულნი და სხვა ღარიბები შეყარა

ერთათ, ერთი დიდი სახლი გაუკეთა და იქ ინა-
ხამდა უვნებლათ.

ის დღე იყო და ის, იმ გვირგვინის მეოხებით
საქართველომ იწყო გაძლიერება და აყვავება.
საქმე იქიმდისინ მივიდა, რომ საქართველოს მე-
ფეს ოცდა-ათ ენით მოსაუბრე ხალხი ჰყავდა
დამორჩილებული და ამ ხალხზე იგი განაგებდა
უვნებლად. დაიწყეს შენება გზების, სახლების,
სასწავლებლის, მონასტრების და სხვების. ერთის
სიტყვით აღყვავდა ყოველისფრით საქართველო
და მთელი შავის ზღვის ნაპირებიდამ ე. ი. რკინის
პალოდამ დარუბანდამდის საქართველოთ ითვ-
ლებოდა. და იქ სულ ქართველი ხალხით იყო
მოფენილი. ეს გვირგვინი მემკვიდრეობით ერთის
მეფიდგან მეორეს, შემდეგ მემკვიდრეს გადაე-
ცემოდა ხოლმე. ქართველ მეფის გვირგვინის სა-
ქმე და ქება ერთს ხემწიფეთაგანს შეეტყო. და
მას თავის დიდებულები გამოეგზავნა საქართვე-
ლოს მეფესთან და შემოუთვალა, რომ თუ ჩვე-
ნი მეგობრობა და სიყვარული გაქვსო, რამდე-
ნიმე ხნით ეგ შენი გვირგვინი გვათხოვეთო.
ჩვენ გვსურსო, ჩვენი გვირგვინი თქვენის გვირ-
გვინის მსგავსათ გავაკეთოთო. ქართველ მეფეს

შეუწყნარებია და გვირგვინი მაშინათვე გაუგზავნია. რამდენიმე ხნის შემდეგ გვირგვინი ისევ დაუბრუნეს, მაგრამ ისეთი კი არა, როგორიც წინად იყო, არამედ სხვა, იმის მინაგვარი.

ქართველთა მეფემ და სხვებმა ვერ შეამჩნიეს სიყალბეს. ის იყო და ის დღე და მას აქეთ საქართველოს საქმე ძალიან ცუდათ წავიდა და დღე და ღამ სულ ერთიანად ომი იყო განუწყვეტლივ. ბოლოს იჟამდისინ მივიდა საქმე, რომ გიორგი მეფემ საქართველო რუსეთს შეუკავშირა 1801 წელსა და მით დაშოშმინდა ეს შერყეული მხარე.

ის სამეფო კი რომელ, მეფემაც, მოატყუა საქართველოს მეფე და გვირგვინი გამოსტყუა, აღყვავდა, გაძლიერდა და ოთხსავ კუთხივ თავის ხელები დაფარა, ფრთები გაშალა და მრავალ ადგილას ხალხს დაუწყო შეერთება და გაქარწყლება.

ზ. ჭ.

ქ. ტფილისს.
1875 წ.

ზ. ჭიჭინაძის ნაწერები:

1. ჭონის შაგირდი . . . . . 5 კაპ.
2. ბაგრატოვანთ გვირგვინი . . . . . 5 „
3. მეფე ერეკლეს გმირები . . . . . 15 „
4. ქართველ მეომარ ქალები . . . . . 10 „
5. ქართველ მეფეთა ბენია . . . . . 20 „

398
Ჯ 551